საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო გაერთიანება

ერ. შთაგბარ კომიტეტის ორგანო

სოციალისტ-ფედერალისტი

ხუთშაბათი ივნისის 23

1921 წ.

ფასი 200 მანეთი

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

ეროვნული ბიბლიოთეკა

შერმეს მწუხარებაში მყოფნი დედა პელაგია, ძმები: ათანასე, მაკარი და პროკოფი, რძალი მარიამი, ფები: ელპიტი და ვარასა, ძმის შვილები ვახტანგი და პაპუნა მახხარაშვილები, და სიძე პეტრე დალაქიშვილი ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ პარასკევს, ივნისის 24-ს გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ—გარდაცვალებულის უძვირფასესი

ნიკანორ გრიგოლის ძე მასხარაშვილის

სულის მოსახსენებლად, ქვაშვეთის ეკლესია, პანაშვიდის დასაწყისი 12 საათზე, ქ. ტფილისში. 1062

ალიოშა ბოკერია აუწყებენ ამხანაგებს და მეგობრებს ოზურგეთის სამაზრო რევკომის წევრის და მათი იშვიათი მეგობრის

ვასო აბაშიძის

უდროოდ დაკარგვას.

გულჩათუქული და ღრმად მწუხარებაში სახლება მიხდილი მყოფი და ბარბარე იასეს ასული კობახიძისა და სიძე ამბროსი, აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ, ამხანაგთ და ნაცნობთ. უდროოდ გარდაცვალებულს მანგლისში ყოფნის დროს ახალგაზრდა ჯარის-კაცის

ალექსანდრე (საშა) იასეს ძე გოგიბედაშვილის

ნახევარ წლის წირვას და პანაშვიდს, რომელიც გადახდილ იქნება სოფ. ზემო-ხანდაკში სად. გრიკალთან ამა თვის ივნისის 24. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე. 1039.

სახელმწიფო დრამის თეატრი

ხუთშაბათს, ივნისის 23-ს ქართული დასის მიერ წარმოდგენილ იქნება

ოტელო

ტრ. 5 მოქმ. უ. შექსპირისა, თარგმ. ივ. მაჩაბლისა

მონაწილეობენ: ან. ქიქოძე, ბ. როსტომაშვილი, ალ. იმედაშვილი, შ. გომელაური, პ. ყორიშელი, ვ. გუნია, მ. ლორთქიფანიძე, ვ. ჯიქია, გ. ფრონისპირელი, მ. მეგვია, უ. ჩხეიძე, პ. ფრანგიშვილი, ბ. სარაული, ნ. ციციშვილი და სხვ.

ბილეთები იყიდება კასაში.

რეჟისორი ალ. ფალავა.

დასაწყისი სრულ 8 საათზე.

ანონსი: შაბათს, ივნისის 25-ს „ჭრიანტანე" კვირას, ივნისის 26-ს „გადაბრიდი მუსა". 22

ყოფ. გიმნაზიის გამგე და დამაარსებელი
მატეიმატიკის მასწავლებელი
ივ. ზარ. მარაიძე

ადგენს მოსამზადებელ ჯგუფებს სექტემბერის და იანვრის გამოცდებზე: უმაღლეს დაწყებითი და ხაშუალო სასწავლებელში, საერთო განათლებიან კურსებზე და რეალურ სასწავლებელში მოზრდილთათვის შესახვლელად: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7 კლასში. ჩამორჩენილ მოწაფეებს, რომელთაც აქვთ განმეორებითი გამოცდა: არითმეტიკა-ალგებრა-გეომეტრია-ტრიგონომეტრიაში და რუსულ-გერმანულ ენებში და მ ა ი ნ ი ნ ა ვ თ ვ ი ს მოწმობაზე: 4, 5, 6, 7 კლ. და მასწავლებლობის და ფეთიანის შეგირდის ხარისხის წოდებაზე.

მისამართი: პლეხანოვის და ალექსის ქუჩის კუთხე № 25|5. ნახვა დილის 7—8 საათამდე 3—6 საათამდე. 1063

ახლო აღმოსავლეთის ამბების მარშრუტი

ჩვენი საზოგადოება ერთგვარად ბუნებაში ზის და მისთვის მრავალი საყურადღებო ფ საერთაშორისო მოვლენათა ამბები დიდი ხნის განმავლობაში გაუგებარი და უცნობი ხდება. დღეს ესეთი მდგომარეობაა შექმნილი ჩვენში, რომ საზოგადოება ძალიერ ცოტად მხოლოდ ქუჩაში მოკრული ამბებითა და ჭორებით იკვებება და ასე იკმაყოფილებს თავის სულიერ ითხოვნილებას. საქართველო ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს და ხალხს მიაწვდინოს შესაძლებლობის საზღვრებში ცხობები; ამით ერთგვარად ხიდაგი გამოიცლება საზოგადოებაში დაგუბებულ ჭორებსა და გაუგებრობას.

ამ ჟამად ახლობელს აღმოსავლეთში მეტად საინტერესო და ღირსშესანიშნავი ამბები ხდება. იმ მცირე ცხობების მიხედვით, რომელიც ჩვენს ხელთ არის ახლობელი აღმოსავლეთი გადაქცეული ბრძოლის ველად

ეიძლება შეიქმნეს და ამ ტერიტორიალურს ერთეულში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისთვის ერთი-მეორეს დაუპირისპირდეს იმპერიალიზმი და რევოლუციონერ.

კერძოთ ჩვენთვის, ქართველებისათვის ახლობელი აღმოსავლეთი და იქ მოხდომი ამბები მეტად საინტერესო და დაინტერესებელია. საქართველო თავის გეოგრაფიული მოხვეულობითა და საერთოდ თავისი ობიექტიური მდგომარეობით ნაწილია აღმოსავლეთის. მასთან ერთად ეს საერთაშორისო ხასიათის აქტები საქართველოს მეზობელ ქვეყნებთან ხდება და მდგომარეობის ვითარების ძიებენ ვეთ, შეიძლება, თვით შეიქმნეს აქტიურ მონაწილედ ძალათ ამ პროცესებში. ეს გარემოება მოითხოვს ქართველ ხალხისაგან მეტი სიფხიზლის გამოჩენას, გონიერი ეპარატის შესაფერისად ამოძრავებას და პოლიტიკურს ზორს მეგრეტელობას.

როგორს მომენტებთან და ფაქტებთან გვაქვს საქმე ახლობელს აღმოსავლეთში? ის ფაქტები, მომენტები, რომელნიც ამ ჟამად ვითარდებიან ამ მხარეში მრავალ რთულ ისტორიული და პოლიტიკური ხასიათის მოვლენების შედეგებია და მათი გაგებისათვის საჭიროა მოკლედ თვალი გადავავლოთ ამ მოვლენებსაც.

ანტანტის პოლიტიკა აღმოსავლეთისადმი და განსაკუთრებით ოსმალეთისადმი, გერმანული კოალიციის დამარცხების შინაარსის დამოკიდებულებით ხასიათდება. ოსმალეთი, გარდა იმისა, რომ თვით წარმოადგენს ნოყიერს საექსპლოატაციო ობიექტს ერთგვარი რგოლია, რომელიც ერთებს ოთხი მხრით საერთაშორისო გზებს და განმტკიცება და გაბატონება ამ ტერიტორიალურს ერთეულში ნიშნავს გაბატონებასა და სიმტკიცეს შუა აზიასა და ინდოეთში. ცხადია ინგლისი, რომელიც დიდი მფლობელია აღმოსავლეთის მდიდარ კოლონიებისა, მთელს თავის ყურადღებას მიაქცევდა ოსმალეთს და იქ ძალთვის სასარგებლო მდგომარეობის შექმნით შეეცდებოდა უზრუნველ ყოფთავისი ბატონობა ინდოეთსა და ეგვიპტეში. ოსმალეთის გერმანიასთან დაკავშირებამ შემდეგ, ინგლისისათვის ნათელი შეიქმნა, რომ მთლიანი ოსმალეთი დიდ საფრთხეს წარმოადგენდა მისი ბატონობისათვის აღმოსავლეთი. ამიტომ გამარჯვებულმა ანტანტამ სევრის ხელშეკრულების სახით საბოლოოდ განაჩენი გამოუტანა ოტომანის იმპერიას და „ავადმყოფი ადამიანის" დიდი ქონების გადაწყვეტილებას შეუდგნენ. არსებითად სევრის ხელშეკრულება სპობდა ოსმალეთის სუვერენობას, ანაწილებდა მის ტერიტორიას, საიდანაც უნდა გამოეჭრილიყო რამდენიმე ვითომდა დამოუკიდებელი სახელმწიფო. ამ პოლიტიკით ანტანტას სურდა დაეკუცმაცებია ოსმალეთი, როგორც მისი ძოწიანა ღმდეგე პოლიტიკური ძალა და წვიალ სახელმწიფოების შექმნით გაეგმტკიცებია თავისი ბატონობა ოსმალეთის ყოფილ ტერიტორიაზე.

მაგრამ საზოგადოთ როგორც მთელს აღმოსავლეთში, ისე ოსმალეთშიაც ანტანტამ დიდი დამარცხება გადიტანა. ოსმალეთის მამულიშვილნი არ დაემორჩილნენ ანტანტის პოლიტიკას და იარაღით ხელში შეეცადნენ თავიანთი უფლებების დაცვას. სევრის ხელშეკრულებამ და გამარჯვებულ იმპერიალისტთა პოლიტიკამ დიდ ნაციონალურ მოძრაობას შეუქმნა ხიდაგი ოსმალეთში. ანატოლიის ნაციონალური მთავრობა უდიდესი გამომხატველი იყო ოსმალეთის ხალხში დაგუბებულ ამ დიად გრძნობებისა და მიდრეკილებების. ანატოლია იარაღით ხელში დაუპირისპირდა ანტანტის სოძალადეებს და მიზნად დაისახა ყოველ მიხეზების გარეშე: 1) დაცვა ოსმალეთის აუვერენობისა და 2) ტერიტორიის თლიანობის ხელშეუხებლობა. ანატოლიის მიმდინარეობასთან ერთად აღდგილი ჰქოლდა ოსმალეთში ინგლისთან შეთანხმების მომხრეებსაც, რომელსაც სათავეში უდგა კონსტანტინოპოლი. ასე იყო ფაქტიურად დანაწილებული ოსმალეთი ორ ბანაკად. მიუხედავათ ასეთი მდგომარეობისა ორივე ბანაკი ერთებდა ერთი საერთო აზრი: ოსმალეთის გადარჩენა კარზე მომდგარ საფრთხისაგან.

როდესაც ოსმალეთის საკითხს ვეხებით არ უნდა გავიწყდებოდეს ის ობიექტური მდგომარეობა, რომელიც მსოფლიოში იყო მაშინ შექმნილი. ჩვენც ვიცით, რომ მსოფლიო ორ საწინააღმდეგო ძალთა ბანაკად გაიყო და დღესაც გაიყოფა, ეს ძალებია ანტანტა და საბჭოთა რუსეთი, იმპერიალიზმი და რევოლიუციონერ. ამ ორ ძალთა მიზნები და საქმიანობა პროგრამები ძირიანად ეწინააღმეგება ერთი მეორეს და მათი ბრძოლის სარბიელი შეიქმნა როგორც აღმოსავლეთი, ისე დასავლეთი. ანატოლიის მეამბოხეებმა ამ ორ ძალთა შორის თავის მოკავშირეთ ბანაკი ჩაეს ის, რომელიც ყველაზე უფრო გამოადეგებოდა თავის მიზნებისათვის და თავისი პოლიტიკა საბჭოთა რუსეთისაკენ მიმართეს. არსებითად ანატოლიის ნაციონალისტებისათვის, როგორც რუსეთი ისე ანტანტა დიდ საბრთხეს წარმოადგენდა და მათი საგარეო პოლიტიკაც ორმაგობისა და გაქანილ დიპლომატიურ ბუჰალტერიის საგაკრო ანგარიშზე იყო აგებული ამ ორ ძალთა შორის. ასეთი ორმაგ პოლიტიკას აწარმოებდა ანგორის მთავრობა და ამ პოლიტიკის ერთი თვალსაზრისო გამომხატველი იყო ძათი საგარეო საქმეთა კომისარი ბექირ-სამიმ-ბეი, რომელიც ძოსკოვში ყოფნის დროს რუსეთის მთავრობას უდიდესს მეგობრულ კავშირში ეფიცებოდა და ოამოდენიმე ანის შემდეგ ლონდონის კონფერენციაზე საერთო მეგობრული ენის გამოძებნას შეუდგა ანტანტის მოძალადეებთან.

ინგლისისათვის ანატოლიის ნაციონალისტური მოძრაობის ძოსპობას და ადმოფხვრას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ინგლისი აღმოსავლეთში უდიდეს აგრესიულს გეგმებს ისახავდა და ამ მიზნების განხორციელებას ხელს უშლიდა, სხვა მიზეზებთან ერთად, ის ნაციონალური მოძრაობაც, მთელს აღმოსავლეთში რომ განვითარდა ინგლისური იმპერიალიზმის საწინააღმდეგოთ, ამას დაუმატეთ ისიც, რომ რუსეთის ბოლშევიკები, რომელნიც გაანადგურეს ბიხაგური კონტრ რევოლიუცია, პირდაპირის გზით მიადგნენ აღმოსავლეთს ყოველი მხრიდან და ამით ინგლისს ამ მტკივნეულს ადგილს უდიდესი საბრთხე ეფოლოდა გაეოეზე ტერეთისაგან. ინგლისი პოლიტიკაში გადამჭრელი ბომეტი დასდგა: ან ომი და შეიარაღებული ძალებით დაცვა თავისი კოლონიების, ან დიპლომატიური კურსის შესცვლა და დათმობის პოლიტიკის წარმოება ძოწინააღმდეგეებთან. ინგლისი უკანასკნელს გზას დაადგა რუსეთთან. მან შეკოა საკავშირო პირობები საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლებთან, ალბათ თითქოს ეიცდინა საოძარი მოკმედება რუსეთთან. მეორეს მხრით ანატოლიის ნაციონალისტებს, ვინაიდგან მათთან შეუძლებელი შეიქმნა საერთო ენის პოვნა, მაინ შეუსია ბეოძბების ჯოები.

ინგლისს ერთი გარკვეული მიზანი ჰქონდა, მას სურდა პოლიტიკური კავშირი გაეწყვიტა ოსკოვსა და ანგორას შორის და ეს ძალები ეოთმანეთისათვის დაეპირისპირებინა. მაგრამ ოაც ვერ მოხდა ამ რამდენიმე ხნის წინედ, ახლა მოყავს ინგლისს სისრულეში და ცდილობს ახლო აღმოსავლეთის შესასვლელ კარებთან დიდი ანტი ბოლშევიკური ძალა შექმნას და გადამჭრელს მომენტში იგი დაუპირისპიროს საბჭოთა რუსეთის ფინ სვლას. ჯერ-ჯერობით გადაჭრით თქმა ოისიმე შეუძლებელია, ცნობების უქონლობის გამო. მხოლოდ ერთი ნათელია, რომ ბერძნების დამარცხების შემდეგ ანტანტამ, ალბად დიდი დათმობით, შეძლო ანატოლიის ნაციონალისტების ნაწილის მიმხრობა; ამით არსებითად დიდი გარდატეხა მოხდა ანგორის პოლიტიკურ წრეებში და თვით ანატოლიის მოძრაობის შინაარსი და ფორმები ამის შემდეგ სხვაგვარი ხასიათა და მიმართულებით განვითარდება.

თავიდანვე ანატოლიის ნაციონალისტებში ორ გვარ მიმდინარეობასაჰქონდა ადგილი რუსეთის მოძრაობის შესახებ. ნაციონალისტურად განწყობილ ნაწილისათვის რუსეთი მხოლოდ ერთგვარი ანტი-ინგლისური ძალა იყო და მის გამოყენებას ცდილობდენ ნაციონალური თავისუფლების შესანარჩუნებლად და ინგლისის ბატონობის მოსასპობად. არსებითად ბოლშევიკური მოძრაობა ამ ჯგუფისათვის ძიუდეელი იყო პრინციპიალურად და პრაქტიკულად. მეორე ნაწილისათვის რუსეთის რევოლიუციონური მოძრაობა წარმოადგენდა დიდი ლირებულების მოვლენას და ანატოლიის მოძრაობისათვის ცდილობდნენ მიეცათ სოციალური შინაარსი. დღეს ოოდესაც პირველ ხანებში ძოხდა ორსებითი გადატეხა და თვითონ საგარეო პოლიტიკა შეუფასებია ანტანტის პოლიტიკას, ამ ორ ჯგუფებს შორის გაწყდა შეძლებელი კავშირი და ისინი ერთი მეორეს დაუპირდაპირდნენ იარაღით ხელში. გამარჯვება ამა თუ იმ ჯგუფისა ოსმალეთში გარკვეულ შინაარსა და ტონს ძისცემს მთელი აღმოსავლეთის ცხოვრებისა ვითარებას.

დღეს ახალი ძომეხტები, ახალი გარემოებანი და მიმდინარეობანი იქმნებიან ოსმალეთში. ძველია ნაციონალური ძოძრაობამ ადგილი უნდა დაუთმოს ნაძდვილა რევოლიუციონიუოს ძოძრაებს. ამლო აღმოსავლეთში უნდა შეიქმნეს გარამწყვეტი აუქტი რევოლიუციური ეხერგიის გასავითარებლად ძთელს აღმოსავლეთში. ამდენ ხანს აღმოსავლეთი ითოლოდ მოძრადების და ეროპაგახდის აეოიოდა გახიცდიდა. დგება დრო, როდესაც ორგანიზაციული და ეძინდა პროაქტიული შეძოქმედეთის ხანა. უნდა გადავიდეს. ამ პეოიოდს გადამწყეტი ინიციატორობა ეკუნდა ძთელი ალოფლიო რევოლიუციისათვის.

ოსმალეთის დღეანდელი ბოძრაობის შედეგები გვიჩვენებენ, თუ როგორის გზით წავა აღმოსავლეთის ცხოვრების ვითარება.

ხიმ. ხუნდაძე

ჩვენი არსებობა

2.

ჩვენ ახალგაზრდობას

პირველ ფურცელში ჩვენ აღვნიშნეთ, თუ როგორი იყო ჩვენი პოლიტიკა და ტაქტიკა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბრძოლა საერთოდ და ბოლშევიკების ბრძოლა კერძოდ. ახლა უნდა გადავიდეთ, თუ როგორია ჩვენი პოლიტიკა დღეს, როგორია ჩვენი ტაქტიკა.

ყველას მოეხსენება, თუ რამდენათ ბოროტულია ატმოსფერო ჩვენს გარშემო ისინიც კი ვინც, მთელ თავის ძოდვაწყვეტილა საქართველოს დასამორებლათვის ამოქმედდა დღეს ისინიც კი გაჭკვიანენ, სოც-ფედერალისტებმა ქართველ ხალხს ულალატეს, ფრონტი იცვალეთ და სხვა. ოა თქმა უნდა, ნორმალურ პირობებში ჩვენ ასას ყურადღებასაც არ მივაქცევდით, მაგრამ დღეს ასეთი „ადამიანი" ბოლიც კი, გასავალს პოულობს და ამისათვის ჩვენ დავიხარსიოთებთ „სოციალისტ-ფედერალისტის" პირველ ნომრებს, (როდგან ბევრს საშვალებაც არა აქვს მასზე ნათელი წარ-

მოიდგენის ქონების) ხოლო ჯერ შევეხები, თუ როგორი შეიძლება იყო ჩვენი ტაქტიკა დღეს.

საქართველოს მოთავრობა, რომელიც სამი წლის განმავლობაში მესვეურობდა სახელმწიფოს, დღეს გაუქმებულია. მენშევიზმის ადგილი ბოლშევიზმა დაიკიერა. ჩვენი ნეიტრალობა დაირღვა. დამოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია საბჭოთა სისტემით შეიცვალა. ერთი სიტყვით, ჩვენი ერის ცხოვრებაში ძირეული გადატეხა მოხდა.

ჩვენთვის, როგორც ეროვნულ-სოციალისტური პარტიისათვის, ოთი თვალსაზრისი არსებობს ამა თუ იმ პოლიტიკური საკითხის გარჩევის დროს და ამა თუ იმ საბოქმედო გეზის ადგილის დროს. ეს თვალსაზრისი არის ეროვნული და სოციალისტური. ვინც ამ ორ უდიდეს ძოთხოვნილებას ჩვენი პრინციპებისა და ორ უდიდეს საკითხს ქართველის ხალხის სულისკვეთებისას, უმტკივნეულოდ გადაჭრის, ჩვენთვის ასეთ ძალასთან ამა თუ იმ გაერთიანებულ ერთეულ შესაძლებელია. ჩვენთვის, ეროხული საკითხი ძარადიული საკითხია, ჩვენი აზრით ეროვნული ისტორიული კატეგორია არ არის. ფეოდალიზმი, კაპიტალიზმი, სოციალიზმი და სხვა, ეს ფორმაა ერის არსებობისა ამა ამა თუ იმ ისტორიულ პერიოდში. ერი კი ძარადიულია. ძისი იხდივიდუალობა ისტორიულ პროცესში სხვა და სხვა სახეს ღებულობს, იცვლება, მაგრამ ეს ინდივიდუალობა არ ეკარგება. ამიტომ ჩვენ ეროვნული თავისუფლება გვინდა, როგორც საშვალება სოციალიზმის დამყარებისათვის ორძოლისა, ბოლო სოციალიზმი კი, როგორც გამტკიცება ეროვნული თავისუფლებისა. ძალასადმე ჩვენ სოციალ-პოლიტიკურ პრობლემათა გადაჭრის დროს ორი ფორმა გვაქვს, პროლეტარი ფედერალიზმი—ფორმა ერთა უთანიერთობის, მეორე სოციალიზაცია—ფორმა სოციალური ტრანსფორმაციის.

ახლა უნდა ვიკითხოთ, დღევანდელი მთავრობა რაძალებთან ინარჩუნებს ამ დებულებებს? როგორია მისთვის საქართველოს სევერგნულ სახელმწიფოს ორსეულის საკითხი? როგორია ეუმთა და გლეხთა ინტერესების დაცვა, სოციალურ-ეკონომიური პოლიტიკა?

ბოლშევიკური მთავრობა, თავის დეკლარაციაში ადიარებს საქართველოს დამოუკიდებლობას. ძალასადმე ჩვენს, როგორც ეროვნულ ფედერაციის გახლოებულებლ ბოგვაჩია, როგორც სვევერნულ სახელმწიფოთა თავისუფალ ხებიაყოფის ხიდაგზე, ამ შეთხვევაში, პრაგმატიულად ჩვენ მათთან ადგილ ორ გვაქვს.

მეორე საკითხი, ეს საქართველოს სახელმწიფოს ნეიტრალობას უნდა დაუთმოთ. ჩვენ ადვილმეთ, ორმ დღეს ჩვენი ნეიტრალობა დარღვეულია. საქართველო მესამე ინტერნაციონალის ორბიტაში მოექცა და ამით ძისი ორლი და ადგილი საერთაშორისო პოლიტიკაში გარკვევით დაისახა.

როგორი უნდა იყოს ჩვენი პოზიცია? ნეიტრალობა თუ ორიენტაცია?

ისეთი პატარა ერისათვის, როგორც ერის საქართველო ნეიტრალობის პოლიტიკა, ერთად ერთი მიზან შეწყობილი პოლიტიკაა საგარეო საქმეთა ორგანებში. დღეს ორი დიდი ბუანერაში ძალა იბრძვის. ორივე ძალა, ჩვენ ეროვნულ პიტესაციას გაცილებით ეხებიოს. ამ ძალთა მიზნები ისევე დიდია, როგორც მათი ფიზიკური და ეკონომიური სიმძლავრე. დიდ ძიზანს დიდი ბრძოლა და დიდი მსკვერპლის გაღება სჭიდეა. პატარა ერი წვეთია ამ ბრძოლის ზღვაში. მისი ენერგია და ფიზიკური ძალა ერთი დღის დასახარჯია ამ ბრძოლის პროცესში. ამიტომ იგი ყოველთვის უნდა გაურბოდეს დიდ ბრძოლებში მონაწილეობას. ძისი პოლიტიკა ნეიტრალობის პოლიტიკა უნდა იყოს.

ძაგრამ დღეს ნეიტრალობა ფაქტიურად ადარ არსებობს. რა არის ამის მიზეზი? ოით აიხსნება ეს გარემოება?

ამის მიზეზია შემდეგი: დღეს მთელ მსოფლიოში ანორძალური მდგომარეობა არის მეექნილი. ამა თუ იმ ერის საკითხი ამ ერის სურვილთ კი არ წყდება, არამედ მისი სურვილის წინააღმდეგ. სოციალიზმისა და კაპიტალიზმის ბრძოლის პროცესი თბოულობს ამა თუ იმ ტერიტორიის დაკავებას, როგორც სტრატეგიული პუნქტისას, როგორც საშვალებას შემდეგი ბრძოლისა. მას შემდეგ რაც ევროპა იმპერიალისტურ გზას დაადგა, პატარა ერთა და სახელმწიფოთა ბედი, არაოდეს მისივე ნებაყოფლით არ გადაწყვეტილა... დღესაც ჩვენი საკითხი, ჩვენი ნების წინააღმდეგ წყდება. ამ საკითხს სწყვეტს ამა თუ იმ ძალის ინტერესები, მათი ანგარიშები. საქართველოს დამოუკიდებლობა შემთხვევით არსებობდა. მისი არსებობის მიზეზი იყო საერთაშორისო ძალთა თავისებური განწყობილება, რომელიც ქმნიდა პირობებს (მისდა უნებურად) საქართველოს დამოუკიდებლობი ას. დღეს ეს განწყობილება დაირღვა და საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრება შეიცვალა.

რა მიზნით შეიძლებოდა ბოლშევიზმის შემოსვლა საქართველოში? რა იყო მისი მამოძრავებელი მოტივი?

ჩვენი ქვეყანა, კლასობრივი სტრუქტურის მხრით პრიმიტიულ ხასიათა ატარებს. ინდუსტრიის ნაკლები განვითარებით ეიხსნება ეს მოვლენა. კლასთა შორის ისეთი ანტაგონიზმი არ სუფევს აქ, როგორც დასავლეთ ევროპაში საქართველო არც დენიკის-ვოლაგელის სამფლობელო იყო და კონტრევოლიუციის ავანგარდი. მაშ რაშია საქმე?

საქმე, მხოლოდ ორიენტაციის საკითხშია. ორიენტაციის მომენტი, ეს უმთავრესი მომენტი იყო ბოლშევიზმის შემოსვლის. ამ ფაქტით კი საქართველო მესამე ინტერნაციონალის ორიენტაციის ორბიტაში მოექცა. რაგორია ჩვენი შეხედულება მესამე ინტერნაციონალზე. მისადეკი იგი თუ არა?

საერთოდ ყველა სოციალისტური პარტიების მისწრაფება ინტერნაციონალის შექმნაა. მეორე ინტერნაციონალი, ძართალია, არ იყო ძარქსისტების პარტიული ორგანიზაცია, მაგრამ მათი დიდი უმრავლესობის ბატონობით ინტერნაციონალში, ეროვნული საკითხი სრულიად არ იქცევდა ინტერნაციონალის ყურადღებას. ლუქსემბურგი ამბობდა, რომ ინტერნაციონალი ეტნოგრაფიული მუზეუმი კი არ არის ყველა ერის წარმომადგენელი, რომ იყო დაშვებულია. ჩვენ ვიცით, რომ სრულიად ინტერნაციონალის ტრადიციის მიზეზი ეროვნული პრობლემის ვერ გარკვევა გახდა. ომის ნიადაგ მხოლოდ ხანგრძლივები დატოვა მეორე ინტერნაციონალის.

დღეს არსებობს ეგ. წ. ოდ. ორ ნახევარი ინტერნაციონალი, რეპროდუქციონისტების ინტერნაციონალი. ისე პასიური და უსუსური, რომ საპროტესტო დემონსტრაციის მოწყობაც ვერ შესძლო.

მესამე ინტერნაციონალი ერთად ერთი აქტიური ძალა დღეს, რომელსაც დიდი მიზნები აქვს დასახული და ბრძოლას ეწევა.

მაგრამ ეს არ კმარა, რომ ჩვენ მესამე ინტერნაციონალში შევიდეთ. აქ არ შევეხეთ ძის იდეურ ხასიათს, ვიტყვით მხოლოდ, რომ რომელიმე პარტიის შესვლა ძასში, ეს ამ პარტიის სახელისა და სახეობის მოსპობაა, რადგან ამას ითითხოვს ინტერნაციონალის წესდება. ჩვენი საბოლოვო გადარჯვეა თეოლიუციის გაძარჯვებაა. მესამე ინტერნაციონალი ძესაეფლობს თეოლიუციას. ამდენად ჩვენი ხამპატია ძისკენ არის. მაგრამ ჩვენ, ჩვენი ერის ფიზიკური არსებობის საკითხი ერთი წუთითაც არ გვავიწყდება. არსებულ პირობებიაც ჩვენი ცდა, ეროვნული ძალის გადაარჩენის ცდა უნდა იყოს. დღევანდელ მომენტში, ჩვენთვის აუცილებელია ეროვნული ენერგიის ძაქსიმუმის ძენარჩენები. ეს ძარტო ჩვენი საქმე არ უნდა იყოს. ეს რეოლიუციის საქმეც არის, ისინი ვინც ერისა და კლასის თავისუფლების იდეით ამართლებენ თავის მოქმედებას, ისინი მოვალენი არიან ერის საარსებო ინტერესებ-გვერდი არ აუარონ. ჩვენ გვიყვარს ყოველი დროში არა როგორც წითელი ჩვარი თავისთავად, არამედ როგორც ემბლემა წითელი იდეის რეალიზაციის. წითელი დროშა მავი საქმის კეთებას არ დაეშვეთ.

ბევრი საკითხი დგა. კიდევ ჩვენს წინაშე, მაგრამ ამაზედ შემდეგ.

სერ. ამაღლობელი

ახალი ამგსგი

— **აგრონომი ხ. ნ. ჩოლოყაშვილი** დანიშნა მიწადმოქმედების სასოფლო მეურნეობის განყოფილების მევენახეობის და მედვინეობის გამგედ.

— **იუსტიციის სახალხო კომისარიატში.** 11 ივნისს ყოფილმა იუსტიციის კომისარმა ალბ. ნაზარეტიანმა ჩააბარა თანამდებობა და კომისარიატი ახალ კომისარს ქავთარაძეს, რომელიც 14 ივნისსვე შეუდგა თავის თანამდებობის შესრულებას.

— **ქართული დრამა.** ხუთშაბათს, 23 ივნისს. ქართული დასის მიერ წარმოდგენილ იქნება „ოტელო“. პიესას დგამს რეჟისორი აკაკი ფალავა. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. დასაწყისი სრულ 8 საათზე. შაბათს, 25 ივნისს „ქრისტინე“ მზადდება ვ. შალიკაშვილის „გადაკრული მუხა“.

— **დღეს** 23 თიბათვეს, უნივერსიტეტის მთავარ შენობაში მოხდება კრება უნივერსიტეტის უმცროს მასწავლებელთა კავშირისა. განსახილველია შემდეგი საკითხები:

1. უმცროს მასწავლებელთა საპროფესიო უფლებები;
2. დელეგატის არჩევა პროფესორთა საბჭოში;
3. ახალი გამგეობის არჩევა;
4. მიმდინარე საკითხები ეს კრება შეორედ არის დანიშნული და კანონიერად ჩაითვლება, რამდენიც არ უნდა დაესწროს მას.

— **სახალხო სახლი.** ხუთშაბათს 23 ივნისს წარმოდგენილი იქნება ცნობილი დრამა „ქრისტინე“ დასაწყისი საღ. 8 საათზე ბილეთები იყიდება კასაში.

— **გთხოვთ ახალ ალბომში** მოათავსოთ შემდეგი: დღეს განძეორებით წარმოდგენილი იქნება ოპერა „კარმენი“. კარმენის როლს ასრულებს რუსეთიდან ჩამოსული მომღერალი ქალი ტეხინიკოვისა. ოპერაში მონაწილეობენ ჩვენი თეატრის საუკეთესო ძალები: ვანო სარაჯიშვილი ისაშვილი, დემეტრენკო და სხვ. ბალეტი ფასიანია და იმართება მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივის მიერ.

ბალიოზ

ახალი აღმოსავლეთის პრობლემა

ლონდონი. ალაბ შეხვეის მინისტრმა ჩერჩილმა განაცხადა თემთა პალატაში, რომ სასურველია შერიგების პოლიტიკას დავადგეთ ოსმალებისა და არაბების მიმართ. ინგლისმა მკვიდრი შეთანხმება უნდა დასდოს ოსმალეთთან.

კონსტანტინოპოლი და ანგორა.

ლონდონი. დიდმა ვეზირმა მუსტაფა-ქემალს ტელეგრაფით გაუგზავნა განცხადება, რომელშიაც აღნიშნავს, რომ პოესა, უცხოეთის წყაროების ხელმძღვანელობით, ეიბადდეგა ანგორის დიდ ეროვნული კრების შეურიგებელ პოლიტიკასა. დიდი ვეზირი აღნიშნავს იმ სერიოზულ შედეგებს ოსმალეთისთვის, რომელებიც შეიძლება მოჰყვეს ასეთს პოლიტიკას. დიდი ვეზირი ირჩევს იმლევა უფრო ზომიერი კილო ადიდონ და მეტის პატივისცემით მოეკონ ხელშეკრულებებს, რომლებიც ბექირ-სამიბეიმ დასდო ანტანტასთან.

ანგორის წინადადება.

ბათომი. გაზეთი „ფიგარო“ იტყობინება: ანგორა კილიკიაში მყოფ ფრანგულ შტაბისადმი წარდგენილ წინადადებაში აღნიშნავს, რომ იგი საძმედრო მოქმედებათა განახლების უფლებას იტოვებს.

ხაბერძეთ ოსმალეთის ფრონტი.

ბათომი. საგაზეთო „სტეფანი“ იტყობინება, რომ ოსმალთა სარდლობას განზრახვა არა აქვს ბერძენთა ახალ პოზიციებს შეუტიოს.

მ. პორტუგალიის ძველის ალბომის ბამე

(გაგრძელება)

ამის შემდეგ, ძართალია ვორონცოვი შეუდგა ქართველი ერის ცხოვრების გაცხობას, ძალე გაიცხა 1832 წ. „ფარული საზოგადოების“ ამბავი. ამის ისტორია კარგათ გაეცნო დიმიტრი ყიფიანმა, რომელიც მაშინ მასვე ემსახურებოდა მეხელეთ „ჩინოვნიკ“ ასობის პოლუჩენიეთი“.

ვორონცოვმა მალე გაიცნა მთელი ქართველი ერი და მასთან ისიც შეატყობა მათ, რომ იგინი იყვნეს რუსეთის მთავრობისათვის უვნებელნი, ამიტომაც ვორონცოვმა ისურვა თავის დაპირების შესრულება. გახსნილ იქმნა ქართული სკამია, დაწყობილ იქმნა ქართული წიგნების ბეჭდვა და 1852 წ. დაწყობილი იქმნა ქართულ თვიურ ჟურნალ „ცისკრის“ ბეჭდვაც.

რედაქტორს ულიგრათ დაუნიშნა დახმარება ჟურნალის გამოსაცემათ და საბეჭდავთაც გ. ერისთავს აჩუქა საბეჭდავი დაზგა, ასოები, ამის დაზგები და ფულითაც დაეხმარა, რომ ამით გ. ერისთავს ქართული სტამბა გახსნა, სადაც გამოვიდოდა მისი ჟურნალ „ცისკარი“ და სხვა ქართული წიგნებიც. ერისთავმა ყველა ეს შეასრულა და ვორონცოვის შესახებ ხალხში ქება გაბისმა, რომ ვორონცოვის დახმარებით გ. ერისთავმა ქართული სტამბა გახსნა.

ასეთი ამბების გავრცელებაც ვორონცოვისთვის დიდებული საქმე იყო. ქართველ ერში მისი გადმერთების ამბების გავრცელება და მისი დასაწყისი ეძლეოდა.

ქართველების ქება დიდებიე ნაყოფი იყო, რომ იმავ გ. ერისთავს ქართული თეატრი დაარსებინა და ქართული პიესებიც დაწერინა.

ისტორიკოს პლატონ იოსელიანს დახმარება მისცა, რომ მას ქართულს და რუსულს ენაზედ, საქართველოს შესახებ ისტორიული წიგნები ეწერა და ებეჭდა.

ასეთ საქმეთა გარდა მისივე თავისნობით გაიხსნა ქართველ ქალთათვის წმ. ნინოს სასწავლებელი. სკოლებში შემოდებული იქმნა ქართული ენის ხმარება.

ასეთის სასიკეთოს საქმეებით ვორონცოვი უფრო შორს წავიდა, მისი წადილით დაარსებულ იქმნა ტფილისის სამეურნეო საზოგადოება და მალე ისიც მოაწყო, რომ ქართველ მემამულეთათვის გახსნა პრიკაზი, ანუ მამულების დასაგირავებელი ბანკი, თუნდ სახელმწიფო ხაზინა.

ერთი სიტყვით საქმე ისე დატრიალდა, რომ ვორონცოვი მალე ქართველების მფარველ მამათ იქმნა გამოცხადებული. ქართველს წარმოდგენებსაც კი ესწრებოდა თურმე. და ყველა კარგს მოთამაშეს და პიესების დადწერასაც საჩუქრებს აძლევდა.

პიესა „ტივით მოგზაურობის“ დაწერისათვის ს. ანტონოვს ბურმე ვორონცოვმა თავის ოქროს საათი აჩუქა.

ამიტომაც ვორონცოვისთვის ძლიერ ძნელი შეიქმნა ერთის ხელით ორი საქმის კეთება, ერთის ხელით ჯერეთ ქართველების დახმარება და ქომაგობა და იმავე ხელით ქართველების დაქვეითება, მათი შემუსვრა და გაწყალება, რითაც ის შეასრულებდა თავის ხელმწიფის დავალებას. ამიტომ მართალაც მისთვის კეთილის ქმნათან ერთათ ბოროტების ფრცელებაც ერთობ ძნელი იყო.

ვორონცოვისთვის კი ეს აუცილებელს საჭიროებას შეადგენდა, ვინაიდან მას სურდა თავის ხელმწიფის დავალების შესრულება და მისი სამსახური პირნათლათ, მაგრამ იმავე დროს მისთვის ძლიერ ძნელი იყო, რომ თავის მაქებარ ქართველის ხალხისათვის მტრობა და ბოროტება დაეწყო, რომ ეგები ბოლოს ეს ქართველები მისის მოქმედებით სულაც ადგილიყვნენ საქართველოს მიწა მამულიდამ.

ესეთი დავალების შესრულება ვორონცოვს ძრიელ გაუძნელდა, ამიტომ იგი მიეცა დიდს დუმილს და ფიქრებს, ბევრის მოსაზრების შემდეგ მან თავის ბოროტებია ადასრულებია გეგმა შესცვალა და მის გამო იგი სულ სხვა ახალს სამოქმედო გზას დაადგა ქართველი ერის,დასადუპის საქმე მი. ვორონცოვი გონიერი კაცი იყო, მასთან ქართველების ხათრიც აქვნდა, რადგანაც ლეკებთან ომებში ქართველები თავდადებულად ემსახურებოდნენ და ამიტომ ამისაგან ქართველთა წინაშე აშკარად დასადუპი ხაფანგის დაგება ერთობ ძნელი იყო, ამან ამისთვის მან იხმარა დაკისრებული საიდუმლო ოსტატობა.

რომელ ოსტატობას ქართველებიც ვერასფერს შეუტყობდნენ, რასაკვირველია ამ სიფრთხილესაც ყოველთვის თან ექნებოდა დიდი ოსტატური ზერი და მოხერხება, ამასთან მეტად საიდუმლო, რასაც მეამიტი ქართველები ვერას შეუტყობდნენ და ასეთის ოსტატურის ხაფანგის და ხერხით ვორონცოვი თვის წადილს შეასრულებდა, თავის ხელმწიფის და მთავრობის დავალებაც აღსრულდებოდა და ყველა მის საშუალებით ქართველი ერიც თავის ქვეყანაში, თავის მამაპაპის მამულზე დაქვეითდებოდა და ბოლოს ამის მეოხებით მოისპობდნენ კიდეც.

ამიტომ ვორონცოვმა თავისი დამოკიდებულება ქართველებთან და სიყვარული ერთი ოცად გაორკეცა. ვორონცოვმა დაიწყო თავის მეგობარ ქართველებისათვის კარგი ნადიმების გამართვა და მასზე მიპატიჟება მხოლოდ ქართველის თავად-აზნაურების, თითქმის სულ ქართველების შიგა და შიგ რუსები და სომხებიც ერევნენ ხოლმე, რომ ამაზედ ვისმეს ეშვი არ ეღოთ.

ნადიმი იყო ქართველებისათვის გამართული და ამიტომ პირველი ადგილიც ნადიმზე ქართველებს ეთმობოდათ თამადაც რასაკვირველია ქართველი იქნებოდა ხოლმე ამოარჩეული. ნადიმზე მეტი ადარა „შეიძლებოდა“ ბოლოს სმა, ჭამა და ქეიფი იყო ისე, რომ ამაზე დიდათ ნასიამოვნები სტუმრები ადგებოდნენ და დიდის მადლობის თქმით თავის სახლებს „ბრუნდებოდნენ“.

ასეთ ნადიმებს ვორონცოვი თითქმის მუდამ კვირა მართავდა, ხან კვირაში ორს ნადიმსაც და სტუმრებათ სულ ქართველები ჰყვანდა ხოლმე მიპატიჟებული. საქმე ისე მოეწყო, რომ ქართველები გაძღნენ ვორონცოვის ნადიმედ მის პურმარილით. თუმცა მათთვის ეს ნადიმები არ ჯდებოდა იაფათ, ძაგრამ იგინი მის ფიქრში მაინც არ შედიოდნენ თუ ვორონცოვი მათ რათ უმართავდა ასე ხშირათ ნადიმებს.

თუმცა იმის ოხვრაშიაც კი ვარდებოდნენ. ხოლმე რომ ამ ნადიმებზედ წასვლა მათ იაფად არ უჯდებოდათ, რადგანაც ნადიმისათვის იგინი აკერვინებდენ ახალ ტანთსაცმელს და როცა ამის შეეკერფული არ ჰქონდათ, მაშინ სესხულობდნენ თფილისის ვაჭარ. სომხისაგან, დიდის სარგებლობით და დროზედ მიუცემლობის გამო დიდის ჯარიმის გადახდით, ერთი სიტყვით ყელამდის ვალში ჩაიფლეთებოდნენ და ნადიმს კი არ დაკლდებოდენ, უსათუოთ წავიდოდნენ.

ეს გარემოება გახლდათ პირველი ნაბიჯი ქართველი ერის დავალიანების და ძათის ოჯახის დაცემის და დადუპვის წავიდეთ ახლა კიდევ ქვემოთ და გავიცნად ახლა მეორე ძახე ქართველის ერის. ცხოვრების დადუპვის და დავალიანების ეს მეორე მახეც ეი რა გახლავსთ.

ვორონცოვისაგან ნადიმებით დავალიანებული ქართველებიც, ხანდისხან ბრიყვდეთოდნენ და საქართველოს მთავარ მართებელის ნადიმის გამართვით სამაგიეროს ეზდიდნენ, ესენი გადიხდიდნენ ნადიმის გამართვას და იმ საბით მომზადებას. როგორც იყო ვორონცოვის სასახლეში. ამისთვის მის შეძლება არ აქვნდათ, ძაგრამ სახელს მაინც არ იტეხდენ და ბეგდავდენ ვორონცოვის დაპატიჟებისათვის ნადიმის გამართვას.

ტოიბაბ ქართველთათვის ეს იყო მძიმე და ძნელი საქმე, მაგრამ მას იზამდენ, დროსა და გარემოებას თავისი გაჭკონდა დაუყოვნელივ სრულდებოდა ჩვეულებრივ. ყოფილა ასეთი ძაგალითები ქართველი ერის ცხოვრებაში, სადაც ულაპარაკიათ ასე:

ვორონცოვი ხადიმს მართავს, ჩვენ გვპატიჟობს, კაცებათ გვთვლის, ჩვენ რომ მისი დაპატიჟება არ შევასრულოთ ეს იქმნება ჩვენთვის დიდი სამარცხვინო საქმე.

ზ. ჭ.

(დასასრული იქნება)

რედაქტორი თედო დლონტი.
გამოსცემს ფარ. ძოთაური კომიტეტისა.

დავკარგე ოფიციერთა ეკონომიურ საზოგადოების საწევრო წიგნაკი № 10191, რომელიც ჩითვალოს გაუქმებულად. ალექსანდრა გრიგოლის ასული ჯაში. 1060

დავკარგე პასპორტი სოფ. ცხინვლიდან ადგებული 66 ნომრით იაკობ დავითის ძე ბინიაშვილის სახელზე, რაც გაუქმებულად უნდა ჩითვალოს. 1061.

ძველის ეძიმა
აპოლონ სერგეევაძე
გახსნილია ავადმყოფების მიღება
9—1 ს. და 4—7 ს.
ბებუთოვის ქუჩა 13 ბინა 1. 29

ეკიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურად ხიფილიტი (914 ტ 606 სქესობრივი უძლურება, ვენერიული ხუხუნათა და შედეგები.
ახალი ბებუთოვის ქ. 5, ცეცხლმქრობელ რაზმის ახლ. ავადმყოფების მიღება 10—2 და 5—7 საათ. 946

ძ. ლანჩხუთში.
ეკიმი
ოლგა ხოფერია
იღებს სპეციალურად ქალთა და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს.
კალისტე ჩაჩავა სახლში. 1047

ბეითალი—ეკიმი
ი. გ. ქუთათელაძე
იღებს ბინაგან, კაბინეთ (ქეცით) ავადმყოფ ოთხშაბ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის ქოთოსა (საპს) ვიკვლევ ძალენინის შეხედულებით. ჭიით ცხენის სასულ—მილას ავათმყოფობას ვეკიმობ „ნეიმანის და ვესსელის“ მეთოდებით. ვეძებენ დარიგებას „ზოოტექნიკაზე“ (საქონლის მოვლა მოშენება). დილის 9—10 საათ. და დღის 2—5 ს. ბელინსკის ქ. № 8 ბ., ბინა 2. 38